

შპს მეფა

**ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ ..	11
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ..	12
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები ..	12
7. მარაგები ..	12
8. ძირითადი საშუალებები.....	13
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	13
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი ..	14
11. ამონაგები.....	14
12. სხვა შემოსავლები ..	14
13. მიწოდების ხარჯები ..	15
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ..	15
15. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა ..	15
16. ფინანსური დანახარჯები ..	15
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	16
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..	16
19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	16

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	77 086	40 998
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	38 987	16 151
მარაგები	7	1 251 988	783 887
საგადასახადო აქტივები		369	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		6	-
		1 368 436	841 036
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	105 531	70 098
		105 531	70 098
მთლიანი აქტივები		1 473 967	911 134
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	639 679	284 889
საგადასახადო ვალდებულებები		-	20 426
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	346 219	337 447
		985 898	642 762
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	30 615	138 626
		30 615	138 626
მთლიანი ვალდებულებები		1 016 513	781 388
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		455 454	127 746
		457 454	129 746
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1 473 967	911 134

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	11	6 048 596	3 616 113
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4 880 548)	(2 969 778)
საერთო მოგება		1 168 048	646 335
სხვა შემოსავლები	12	43 128	10 394
მიწოდების დანახარჯები	13	(177 194)	(109 691)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(526 025)	(417 508)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(23 743)	7 054
საოპერაციო მოგება		484 214	136 584
ფინანსური ხარჯი	16	(60 902)	(69 712)
მოგება დაბეგრამდე		423 312	66 872
მოგების გადასახადი		(9 288)	-
პერიოდის მოგება		414 024	66 872

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7 015 639	4 133 605
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	86 896	175 722
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(6 220 335)	(4 040 621)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(288 918)	(176 615)
გადახდილი მოგების გადასახადი	(9 288)	-
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(254 130)	(109 344)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	329 864	(17 253)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(71 634)	(13 836)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(71 634)	(13 836)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	2 580 562	2 291 387
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(2 679 802)	(2 326 390)
გადახდილი დივიდენდები	(62 000)	-
გადახდილი პროცენტები	(60 902)	(69 712)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(222 142)	(104 715)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	36 088	(135 804)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	40 998	176 802
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	77 086	40 998

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ადრე წარდგენილი ნაშთი 31.12.2020	2 000	93 093	95 093
წინა პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი	-	(32 219)	(32 219)
გადაანგარიშებული ნაშთი 31.12.2020	2 000	60 874	62 874
პერიოდის მოგება	-	66 872	66 872
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	2 000	127 746	129 746
პერიოდის მოგება	-	414 024	414 024
გაცემული დივიდენდი	-	(86 316)	(86 316)
ნაშთი 31.12.2022	2 000	455 454	457 454

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მეფა (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 25 სექტემბერს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ავთანდილ მეფარიშვილი.

შპს მეფას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო საქონლით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, დ თავდადებულის ქ., №16/2. კომპანიის ფაქტიური მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N103.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მიკუთვნება დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტი
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის მიწოდებიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	573	9 631
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	76 513	31 367
სულ	77 086	40 998

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	37 180	14 485
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	1 807	1 666
სულ	38 987	16 151

მიმდინარე პერიოდში სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული (2021 წელს 11,235 ლარი).

7. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	1 251 988	783 867
სხვა მარაგები	-	20
სულ	1 251 988	783 887

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4,880,548 ლარი (2021 წელს 2,969,778 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2021 წელს 0 ლარი).

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი 2021	53 282	14 024	10 100	77 406
შემოსვლა	52 000	6 224	13 410	71 634
გასვლა	(24 365)	-	-	(24 365)
31 დეკემბერი 2022	80 917	20 248	23 510	124 675
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2021	(3 213)	(2 255)	(1 840)	(7 308)
პერიოდის ცვეთა	(5 493)	(2 866)	(3 476)	(11 835)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(8 706)	(5 121)	(5 316)	(19 143)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	50 069	11 769	8 260	70 098
31 დეკემბერი 2022	72 211	15 127	18 194	105 532

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	632 821	266 084
მიღებული ავანსები	6 858	18 805
სულ	639 679	284 889

საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი მომავალი საიჯარო გადასახდელები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
1 წლამდე	117 060	116 830
1-დან 5 წლამდე	261 060	356 856
5 წლის შემდეგ	112 500	157 500
სულ	490 620	631 186

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები მოცემულია ლარში)		
მოკლევადიანი სესხები	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხები	237 000	241 000
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	109 219	96 447
სულ მოკლევადიანი სესხები	346 219	337 447
გრძელვადიანი სესხები	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები	30 615	138 626
სულ გრძელვადიანი სესხები	30 615	138 626
სულ სესხები	376 834	476 073

კომპანიის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკისგან მიღებული სესხი, რომელიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12.5%-ს. სესხის დაფარვის თარიღია 2024 წლის მარტი.

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს საკრედიტო ხაზებს, სესხები დენომინირებულია ლარში და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ათვისებული თანხის 12.5%-13.3%.

ყველა სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლის პირადი ქონებით და თავდებობით.

11. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	6 048 596	3 616 113
სულ	6 048 596	3 616 113

12. სხვა შემოსავლები

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ზიანის ანაზღაურება	43 128	-
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	-	10 394
სულ	43 128	10 394

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

13. მიწოდების ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	(51 591)	(24 016)
შრომის ანაზღაურება	(125 603)	(85 675)
სულ	(177 194)	(109 691)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	(243 644)	(139 856)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(11 836)	(13 399)
დებიტორული მოთხოვნების გაუფასურება	-	(11 235)
საბანკო ხარჯი	(88 231)	(70 359)
დაზღვევის ხარჯი	(5 327)	(6 161)
კომუნიკაციის ხარჯი	(1 184)	(4 705)
კომუნალური ხარჯები	(10 960)	(4 835)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(7 017)	(2 924)
კომპიუტერის ხარჯები	(51)	-
იჯარის ხარჯი	(146 307)	(142 855)
საექსპლუატაციო ხარჯები	(148)	(443)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(6 750)	(3 559)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(4 570)	(17 177)
სულ	(526 025)	(417 508)

15. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ზარალი ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან	(23 647)	-
ჯარიმები	(96)	(40)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)	-	7 094
სულ სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(23 743)	7 054

16. ფინანსური დანახარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(60 902)	(69 712)
სულ ფინანსური დანახარჯები	(60 902)	(69 712)

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ავთანდილ მეფარიშვილი.

კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის პირადი ქონებით და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

ღირებულებებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	51 000	26 000
სულ	51 000	26 000

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 63,160 ლარის დივიდენდი.

2022 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიის მიერ მოხდა 52,000 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალების შეძენა.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დაფარა გრძელვადიანი სესხი და განაახლა საკრედიტო ხაზი.

19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ აღმოაჩინა წინა პერიოდში დაშვებული შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად. შეცდომების გასწორების შედეგად 2021 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 32,219 ლარით, 2021 წლამდე პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი. 2021 წლის წმინდა მოგება შემცირდა 841 ლარით.

შპს მეფა

**ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ..	11
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	12
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	12
7. მარაგები	12
8. ძირითადი საშუალებები.....	13
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	14
11. ამონაგები	14
12. სხვა შემოსავლები	14
13. მიწოდების ხარჯები	15
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15
15. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა.....	15
16. ფინანსური დანახარჯები	15
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	16
19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების	5	77 086	40 998
ექვივალენტები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	38 987	16 151
მარაგები	7	1 251 988	783 887
საგადასახადო აქტივები		369	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		6	-
		1 368 436	841 036
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	105 531	70 098
		105 531	70 098
მთლიანი აქტივები		1 473 967	911 134
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	639 679	284 889
საგადასახადო ვალდებულებები		-	20 426
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი	10	346 219	337 447
პროცენტი			
		985 898	642 762
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	30 615	138 626
		30 615	138 626
მთლიანი ვალდებულებები		1 016 513	781 388
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		455 454	127 746
		457 454	129 746
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1 473 967	911 134

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	11	6 048 596	3 616 113
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4 880 548)	(2 969 778)
საერთო მოგება		1 168 048	646 335
სხვა შემოსავლები	12	43 128	10 394
მიწოდების დანახარჯები	13	(177 194)	(109 691)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(526 025)	(417 508)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(23 743)	7 054
საოპერაციო მოგება		484 214	136 584
ფინანსური ხარჯი	16	(60 902)	(69 712)
მოგება დაბეგვრამდე		423 312	66 872
მოგების გადასახადი		(9 288)	-
პერიოდის მოგება		414 024	66 872

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი
დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7 015 639	4 133 605
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	86 896	175 722
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(6 220 335)	(4 040 621)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(288 918)	(176 615)
გადახდილი მოგების გადასახადი	(9 288)	-
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(254 130)	(109 344)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	329 864	(17 253)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(71 634)	(13 836)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(71 634)	(13 836)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	2 580 562	2 291 387
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(2 679 802)	(2 326 390)
გადახდილი დივიდენდები	(62 000)	-
გადახდილი პროცენტები	(60 902)	(69 712)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(222 142)	(104 715)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	36 088	(135 804)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	40 998	176 802
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	77 086	40 998

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ადრე წარდგენილი ნაშთი 31.12.2020	2 000	93 093	95 093
წინა პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი	-	(32 219)	(32 219)
გადაანგარიშებული ნაშთი 31.12.2020	2 000	60 874	62 874
პერიოდის მოგება	-	66 872	66 872
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	2 000	127 746	129 746
პერიოდის მოგება	-	414 024	414 024
გაცემული დივიდენდი	-	(86 316)	(86 316)
ნაშთი 31.12.2022	2 000	455 454	457 454

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს

ავთანდილ მეფარიშვილი

დირექტორი, შპს მეფა

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მეფა (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 25 სექტემბერს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ავთანდილ მეფარიშვილი.

შპს მეფას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო საქონლით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, დ თავდადებულის ქ., №16/2. კომპანიის ფაქტიური მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N103.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 13 აგვისტოს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტი
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საწარმო ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის მიწოდებიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	573	9 631
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	76 513	31 367
სულ	77 086	40 998

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	37 180	14 485
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	1 807	1 666
სულ	38 987	16 151

მიმდინარე პერიოდში სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული (2021 წელს 11,235 ლარი).

7. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	1 251 988	783 867
სხვა მარაგები	-	20
სულ	1 251 988	783 887

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4,880,548 ლარი (2021 წელს 2,969,778 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2021 წელს 0 ლარი).

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი 2021	53 282	14 024	10 100	77 406
შემოსვლა	52 000	6 224	13 410	71 634
გასვლა	(24 365)	-	-	(24 365)
31 დეკემბერი 2022	80 917	20 248	23 510	124 675
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2021	(3 213)	(2 255)	(1 840)	(7 308)
პერიოდის ცვეთა	(5 493)	(2 866)	(3 476)	(11 835)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(8 706)	(5 121)	(5 316)	(19 143)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	50 069	11 769	8 260	70 098
31 დეკემბერი 2022	72 211	15 127	18 194	105 532

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	632 821	266 084
მიღებული ავანსები	6 858	18 805
სულ	639 679	284 889

საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი მომავალი საიჯარო გადასახდელები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022	31.12.2021
1 წლამდე	117 060	116 830
1-დან 5 წლამდე	261 060	356 856
5 წლის შემდეგ	112 500	157 500
სულ	490 620	631 186

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები მოცემულია ლარში)

მოკლევადიანი სესხები	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხები	237 000	241 000
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	109 219	96 447
სულ მოკლევადიანი სესხები	346 219	337 447
გრძელვადიანი სესხები	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები	30 615	138 626
სულ გრძელვადიანი სესხები	30 615	138 626
სულ სესხები	376 834	476 073

კომპანიის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკისგან მიღებული სესხი, რომელიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12.5%-ს. სესხის დაფარვის თარიღია 2024 წლის მარტი.

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს საკრედიტო ხაზებს, სესხები დენომინირებულია ლარში და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ათვისებულ თანხის 12.5%-13.3%.

ყველა სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლის პირადი ქონებით და თავდებობით.

11. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	6 048 596	3 616 113
სულ	6 048 596	3 616 113

12. სხვა შემოსავლები

(თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
ზიანის ანაზღაურება	43 128	-
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	-	10 394
სულ	43 128	10 394

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

13. მიწოდების ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	(51 591)	(24 016)
შრომის ანაზღაურება	(125 603)	(85 675)
სულ	(177 194)	(109 691)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	(243 644)	(139 856)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(11 836)	(13 399)
დებიტორული მოთხოვნების გაუფასურება	-	(11 235)
საბანკო ხარჯი	(88 231)	(70 359)
დაზღვევის ხარჯი	(5 327)	(6 161)
კომუნიკაციის ხარჯი	(1 184)	(4 705)
კომუნალური ხარჯები	(10 960)	(4 835)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(7 017)	(2 924)
კომპიუტერის ხარჯები	(51)	-
იჯარის ხარჯი	(146 307)	(142 855)
საექსპლუატაციო ხარჯები	(148)	(443)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(6 750)	(3 559)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(4 570)	(17 177)
სულ	(526 025)	(417 508)

15. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ზარალი ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან	(23 647)	-
ჯარიმები	(96)	(40)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)	-	7 094
სულ სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(23 743)	7 054

16. ფინანსური დანახარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(60 902)	(69 712)
სულ ფინანსური დანახარჯები	(60 902)	(69 712)

შპს მეფა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ავთანდილ მეფარიშვილი.

კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის პირადი ქონებით და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	51 000	26 000
სულ	51 000	26 000

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 63,160 ლარის დივიდენდი.

2022 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიის მიერ მოხდა 52,000 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალების შეძენა.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დაფარა გრძელვადიანი სესხი და განაახლა საკრედიტო ხაზი.

19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ აღმოაჩინა წინა პერიოდში დაშვებული შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად. შეცდომების გასწორების შედეგად 2021 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 32,219 ლარით, 2021 წლამდე პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი. 2021 წლის წმინდა მოგება შემცირდა 841 ლარით.